საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4366
07/06/2023

4366-21-2-202306071648

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3129 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. წევას მიმდებარედ, E-60 ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას მონაკვეთის (F4) მშენებლობის ფარგლებში მდ. ძირულას სანაპიროზე №1 ფუჭი ქანების სანაყაროს ნაპირდამცავი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ shp ფაილებში სრულად უნდა იქნეს ასახული ნაპირსამაგრი ნაგებობა, მისი პარამეტრების გათვალისწინებით. ამასთან, წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ ნაპირსამაგრი ნაგებობა კვეთს სააგენტოს მიერ 2023 წლის 21 მარტის №21/1945 წერილით შეთანხმებულ სანაყაროს ტერიტორიას. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;
- დოკუმენტში წარმოდგენილი GPS კოორდინატები არ ემთხვევა წარმოდგენილ shp ფაილებს, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია, უშუალოდ ნაპირსამაგრი სამუშაოების შესახებ, ხანგრძლივობისა და სამუშაოების ეტაპზე გამოყენებული ტექნიკის რაოდენობისა და სახეობების მითითებით;
- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია უშუალოდ ნაპირსამაგრი სამუშაოების ფარგლებში მოხსნილი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის/გრუნტის მოცულობის და შემდგომი მართვის შესახებ;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობების და შემდგომი მართვის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო